სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

№ 01- 04/53 ბრძანება § 26.07 2019

2019-2020 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო დამხმარე პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო- კვლევით მუშაობაში ორგანიზებულად ჩართვის შესახებ:

2019-2020 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტების საერთო, პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების, სასწავლო დამხმარე პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ორგანიზებული ჩართვის მიზნით ვბრძანებ:

1. გაუქმდეს უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 28 ივნისის ბრძანება № 01-04/32 „2018-2019 სასწავლო წლისათვის დეპარტამენტებისა და და პროფესორ მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების მომზადების შესახებ";

2. სახელმძღვანელოდ იქნას მიღებული აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის № 65, № 66 დადგენილებები (18/19);

3. ცნობად იქნას მიღებული,რომ მიმდინარე ეტაპისათვის დასრულებულია აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადასტურებული საგანმანათლებლო პროგრამებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანილი კურსების სასწავლო გრაფიკების შეთანხმება შესაბამისი საგანმანთლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან.

4.ფაკულტეტების დეკანებმა, დეპარტამენტების ხელმძღვანელებმა:

4.1. უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება „არჩევით სასწავლო კურსებზე და ასათვისებლად, დავალიანებაში დარჩენილი წინა სემესტრის სასწავლო კურსებზე დარეგისტრიტრირების თაობაზე" პრაქტიკულად განახორციელონ აწსუ 2019 წლის 24.04 № 01- 04/22 ბრძანების მოთხოვნები;

4.2. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში 2019 2019 წლის 5 სექტემბრისთვის წარმოადგინონ დეპარტამენტების 2019-2020 სასწავლო წლის საერთო სავარაუდო სასწავლო დატვირთვები;

4.3. პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების შედგენისას გაითვალისწინონ, რომ როგორც წესი, ლექციის წაკითხვის უფლება ეძლევათ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირებს. გამონაკლისი შეიძლება დაშვებულ იქნას დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა და რექტორის თანხმობით.

4.4. იმ შემთხვევაში, როდესაც დეპარტამენტის ყველა წევრს აქვს მაქსიმალური დატვირთვა და საერთო სასწავლო დატვირთვის მოცულობა აჭარბებს დეპარტამენტის წევრების ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების ნორმით დადგენილი მოცულობის ჯამს, სათანადო დასაბუთების შემთხვევაში, შტატის ზემოთ შესრულებული საათები ანაზღაურდება საათობრივად აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივით.

4.5. შტატის ზემოთ დარჩენილი სამუშაოს შესასრულებლად შესაძლებელია შტატიანი წევრის საათობრივი წესით მოწვევა ერთი სასწავლო წლის ვადით. გამონაკლის შემთხვევაში, როდესაც შტატით მომუშავე აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვა არ არის მაქსიმალური, მაგრამ წასაკითხია ისეთი საგანი ან სპეციალური კურსი, რომლის ჩატარება დეპარტამენტის წევრებს არ შეუძლიათ, დასაშვებია შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირის მოწვევა საათობრივი ანაზღაურებით აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების დაცვით, მათი დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.

4.6. ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად გარეშე პირთა მოწვევა არ შეიძლება. გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, ფაკულტეტის დეკანის (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) დასაბუთებული შუამდგომლობით და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობით, თუ ამას მოითხოვს საგნის სპეციფიკა, მათი დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.

4.7. პრაქტიკული, ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარების, სასწავლო, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკების ხელმძღვანელობის უფლება ეძლევათ აწსუ-ს სასწავლო- დამხმარე პერსონალის შემდეგ კატეგორიებს:

ა) იმ თანამშრომლებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი ან არიან აწსუ-ს დოქტორანტები;

ბ) საქართველოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების დოქტორანტებს, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება მოხდება აწსუ-ში დადგენილ პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურებით მოწვევის წესის მიხედვით;

გ) შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მქონე იმ სასწავლო დამხმარე პერსონალს, რომლებიც ვერ ხვდებიან ამ ბრძანების 4.7 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიაში, მაგრამ რომელთა მიმართ არსებობს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა. ასეთ შემთხვევაში მათი საათობრივად მოწვევის ბრძანება გაფორმდეს აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი ნორმატივების მიხედვით, ხოლო შრომის ანაზღაურება მოხდეს აწსუ-ში დადგენილი პედაგოგთა საათობრივი ანაზღაურების წესის მიხედვით;

დ) ამ ბრძანების 4.7 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირობებისაგან განსხვავებული მოთხოვნების არსებობის შემთხვევაში, რომელთა მიმართ იარსებებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის დასაბუთებული შუამდგომლობა (გამყარებული ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით) და უნივერსიტეტის რექტორის თანხმობა, მათი დაფინანსება მოხდეს შესაბამისი ფაკულტეტის ხარჯვითი ლიმიტიდან.

4.8. შიდა საუნივერსიტეტო შეთავსების კანდიდატთა და საათობრივი ანაზღაურების წესით მოსაწვევ პედაგოგთა საბოლოო სიები დეპარტამენტის ხელმძღვანელისა და შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით წარადგინონ

სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო-მეთოდურ განყოფილებაში არა უგვიანეს 2019 წლის 5 სექტემბრისა.

4.9. უზრუნველყონ სტუდენტთა ინფორმირება არჩევით სასწავლო კურსებზე და ასათვისებლად დავალიანებაში დარჩენილი წინა სემესტრის სასწავლო კურსებზე დარეგისტრირების შესახებ;

4.10. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით კომპონენტებზე პირველი სასწავლო წლის სტუდენტების განაწილება/ჯგუფების დაკომპლექტება განახორციელონ არაუგვიანეს 2019-2020 სასწავლო წლის დაწყებიდან 5 დღის ვადაში;

5. დეპარტამენტის საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების გაანგარიშება განხორციელდეს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის №65, № 66 (18/19) დადგენილებებით მიღებული სასწავლო და სამეცნიერო - მეთოდური საქმიანობის ნორმატივების შესაბამისად.

6. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ასოც.პროფ.თეა კორძაძე) უზრუნველყოს 2019 წლის 1 სექტემბრამდე აკადემიურ საბჭოზე ახლად დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო გეგმების (სათანადო დამოწმებით) ელექტრონული ვერსიის მიწოდება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სასწავლო - მეთოდურ განყოფილებაზე.

7. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურმა (უფროსი პროფ. ი. ბასილაძე) :

7.1. ფაკულტეტების დეკანატებისა და დეპარტამენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მონიტორინგის შემდგომ უზრუნველყოს დეპარტამენტების საერთო და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური სასწავლო დატვირთვების დაზუსტება და საუნივესიტეტო სამუშაოს მოცულობის დადგენა 2019-2020 სასწავლო წლისათვის.

7.2. დამატებით განიხილოს და აწსუ-ს აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასწავლო რეკვიზიტის განახლებული ფორმები.

8. კანცელარიის უფროსმა (ეთერ ცირეკიძე) და მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსმა (ასოც.პროფ.თეა ვალიშვილი) უზრუნველყონ აღნიშნული ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე.

9. კონტროლი აღნიშნული ბრძანების პრაქტიკულ განხორციელებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს ასოც. პროფ. შალვა კირთაძეს.

საფუძველი:აწსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 10 ივნისის დადგენილებები № 65, № 66 (18/19), აწსუ-ს 2019 წლის 22. 07 ბრძანება №01-04/51.

რექტორის მოვალეობის
შემსრულებელი — პროფ. გიორგი ღავთაძე

სასწავლო პროცესის მართვის
სამსახურის უფროსი — პროფესორი იმერი ბასილაძე